

შეთავაზების მიმოხილვა

ეს მიმოხილვა აღწერს ობლიგაციების ძირითად პირობებს. ეს მიმოხილვა არ არის სრული და პროსპექტის დარჩენილ ნაწილთან მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ობლიგაციების უფრო დეტალური აღწერისთვის იხილეთ „ობლიგაციის პირობები“. სიტყვებისა და გამოთქმების „პირობებში“ მოცემულ განმარტებას ანალოგიური განმარტება ექნება ამ მიმოხილვაშიც.

ემიტენტი..... სს თიბისი ბანკი

რისკის ფაქტორები..... არსებობს გარკვეული გარემოებები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ თიბისი ბანკის უნარზე შეასრულოს ამ ობლიგაციების ფარგლებში წარმოშობილი ვალდებულებები. ეს ფაქტორები განხილულნი არიან „რისკის ფაქტორებში“ და მოიცავენ საქართველოს ეკონომიკას და გლობალურ მაკროეკონომიკურ გარემოს, თიბისი ბანკთან და ჯგუფთან დაკავშირებულ რისკებს და ობლიგაციებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს. „რისკის ფაქტორებში“ ასევე განხილულია გარკვეული ფაქტორები, რომლებიც მატერიალურია ობლიგაციების საბაზრო რისკის შესაფასებლად.

ემისიის ზომა..... US\$ 125,000,000

ემისიის თარიღი..... 3 ივლისი 2019

ემისიის დეტალები..... US\$ 125,000,000 უვადო სუბორდინირებული გამოსყიდვადი დამატებითი პირველადი კაპიტალის ობლიგაციები.

თიბისი ბანკმა მოითხოვა, რომ ობლიგაციები დამატებით პირველად კაპიტალად ჩაითვალოს შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით.

მიღებული სახსრების გამოყენება..... თიბისი ბანკი გეგმავს, რომ ემისიიდან მიღებული წმინდა სახსრები გამოიყენოს ზოგადი კორპორაციული საჭიროებებისთვის.

პროცენტი..... პროცენტის დარიცხვა მოხდება ობლიგაციების გამოშვებული ძირის მოცულობაზე („გამოშვებული ძირის მოცულობა“) შემდეგი პრინციპით: (i) „დახურვის თარიღიდან“ (ჩათვლით) 2024 წლის 3 ოქტომბრამდე (გამოკლებით) („პირველი გადათვლის თარიღი“) საპროცენტო განაკვეთი იქნება 10.775% და (ii) „პირველი გადათვლის თარიღიდან“ (ჩათვლით) ყოველი მეხუთე წლისთავამდე („გადათვლის თარიღი“) (გამოკლებით) და ყოველ შემდგომ „გადათვლის თარიღამდე“ (გამოკლებით) (თითოეულ ამ პერიოდს ეწოდება „გადათვლის პერიოდი“) საპროცენტო განაკვეთი თითოეული „გადათვლის პერიოდისთვის“ იქნება 8.995%-ის („მარჯა“) და 5-წლიანი საშუალო სვოპ-განაკვეთის (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) ჯამი. თითოეული „გადათვლის პერიოდისთვის“ პროცენტის ათწილადის დამრგვალება მოხდება 0.00005-ის ქვემოთ დამრგვალებით. 5-წლიანი საშუალო სვოპ-განაკვეთის მიმართ „ბენჩმარკის მოვლენის“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) დადგომის შემთხვევაში, შესაბამისი „გადათვლის პერიოდის“ განმავლობაში პროცენტის დათვლა მოხდება პირობა 5(b)-ს მიხედვით. პირობა 5-ის (პროცენტი)

გათვალისწინებით (იხილეთ ქვემოთ „პროცენტის შეზღუდვა“), პროცენტის გადახდა მოხდება ნახევარ-წლიურად ყოველ 3 ოქტომბერს და 3 აპრილს (თითოეული „პროცენტის გადახდის თარიღი“) ხოლო პირველი პროცენტის გადახდა მოხდება 2020 წლის 3 აპრილს („პროცენტის გადახდის პირველი თარიღი“).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პირობა 5 (პროცენტი).

პროცენტის შეზღუდვა..... თიბისი ბანკმა შეიძლება გადაწყვიტოს, ნებისმიერ დროს მისი პირადი და აბსოლუტური დისკრეციით, რომ გააუქმოს (მთლიანად ან ნაწილობრივ) ნებისმიერი პროცენტის გადახდა, რომელიც სხვა მხრივ გადასახდელი იქნებოდა „პროცენტის გადახდის თარიღზე“, იმ პირობით, რომ:

(ა) თუ დადგა „კაპიტალის მოვლენა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) ნებისმიერ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მანამ სანამ „კაპიტალის მოვლენა“ გრძელდება, „ემიტენტს“ არ ექნება პროცენტის გადახდის გაუქმების დისკრეცია არსებულ ობლიგაციებზე (ან მათ ნაწილზე), რომლებიც შესაბამისი „კაპიტალის მოვლენის“ შედეგად აღარ ითვლებიან, ან შეადგენენ, თიბისი ბანკის პირველადი კაპიტალის ნაწილს.

(ბ) თუ დადგა „ნებადართვის მოვლენა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) ნებისმიერ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ თიბისი ბანკს არ ექნება პროცენტის გადახდის გაუქმების დისკრეცია.

თიბისი ბანკის მიერ პროცენტის გადახდის უფლების შეზღუდვის გარეშე:

(1) თიბისი ბანკი გააუქმებს ნებისმიერ პროცენტს, ან მის ნაწილს, რომელთა გადახდა დაგეგმილი იყო შესაბამისი „პროცენტის გადახდის თარიღზე“ თუკი და იმ დონეზე, რაზეც პროცენტის მოცულობა ნებისმიერ სხვა „რელევანტურ განაწილებასთან“ ერთად (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) აღემატება „განაწილებადი ერთეულების“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) მოცულობას ნებისმიერ „პროცენტის გადახდის თარიღზე“.

(2) თუკი შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით თიბისი ბანკი ვალდებულია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს შესაბამისი პროცენტის გადახდა, თიბისი ბანკი მოახდენს მხოლოდ ნაწილობრივ, ან სხვა შემთხვევაში ნულოვან, ობლიგაციების პროცენტის გადახდას.

(3) თუკი „კომპეტენტური რეგულატორი“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით მოსთხოვს თიბისი ბანკს გააუქმოს მთლიანად ან ნაწილობრივ პროცენტის გადახდა, თიბისი ბანკი მოახდენს მხოლოდ ნაწილობრივ, ან სხვა შემთხვევაში ნულოვან, ობლიგაციების პროცენტის გადახდას.

(4) არ მოხდება პროცენტის გადახდა ობლიგაციებზე, თუკი მსგავსმა გადახდებმა შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი საბანკო რეგულაციების ფარგლებში არსებული რეგულაციური შეზღუდვების დარღვევა პირველადი კაპიტალის (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) მიმართ გადახდების კუთხით.

(5) თუკი „ჩამოწერის მოვლენა“ (როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული) მოხდება ნებისმიერ დროს „დახურვის თარიღის“ შემდეგ, თიბისი ბანკი არ მოახდენს შემდგომი პროცენტების გადახდას მანამ სანამ „ჩამოწერის ქმედების ეფექტური თარიღი“ არ დადგება.

თუკი არ მოხდა დაგეგმილი პროცენტის გადახდა, თიბისი ბანკი უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს დივიდენდების განაწილება, ფულადი ან სხვა სახით, ჩვეულებრივ აქციონერებზე (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) მანამ სანამ არ მოხდება დარიცხული პროცენტის გადახდა ნებისმიერი შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღისთვის“ ან არცერთი ობლიგაცია აღარ არის გამოშვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პირობა 5 (პროცენტი).

თიბისი ბანკის ამჟამად გეგმავს, რომ ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გამოცხადების დისკრეციის განხორციელებისას, ან ობლიგაციებზე პროცენტის გადახდის გაუქმების დისკრეციის გამოყენებისას, გაითვალისწინოს ამ ინსტრუმენტების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში. მაგრამ, თიბისი ბანკმა, საკუთარი სურვილისამებრ, შეიძლება შეცვალოს ამჟამინდელი გეგმა და იგი არ იქნება ვალდებული წინასწარ შეატყობინოს ობლიგაციონერებს ამ ცვლილების შესახებ.

ობლიგაციების სტატუსი.....

ობლიგაციები წარმოადგენენ „ემიტენტის“ არა-უზრუნველყოფილ და სუბორდინირებულ ვალდებულებებს და ყველა დროს იქნებიან *pari passu* რანგში ერთმანეთში უპირატესობის გარეშე. როგორც პირობა 4-ში არის აღწერილი, ობლიგაციონერთა უფლებები და მოთხოვნები სუბორდინირებულია და სავალდებულო კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში (ან სხვაგვარად) ასევე შეიძლება დაექვემდებაროს სხვა რიგითობასაც.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პირობა 3 (სტატუსი).

გამოსყიდვის უფლება.....

ყველა, მაგრამ არა ზოგი, ობლიგაცია შეიძლება გამოსყიდულ იქნას „ემიტენტის“ სურვილის შემთხვევაში „კომპეტენტური რეგულატორის“ წინასწარი თანხმობით (და სხვაგვარად საბანკო რეგულაციებთან შესაბამისობაში) ნებისმიერ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ „პირველი გადათვლის თარიღის“ შემდეგ „გამოსყიდვის ფასად“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“).

ობლიგაციების სრული, მაგრამ არა ნაწილობრივი, გამოსყიდვა „გამოსყიდვის ფასად“ ასევე შეიძლება მოხდეს („კომპეტენტური

რეგულატორის“ წინასწარი თანხმობის და შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით) თუკი დადგა და გრძელდება „საგადასახადო მოვლენა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“).

ობლიგაციების სრული, მაგრამ არა ნაწილობრივი, გამოსყიდვა „გამოსყიდვის ფასად“ ასევე შეიძლება მოხდეს („კომპეტენტური რეგულატორის“ წინასწარი თანხმობის და შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით) თუკი დადგა და გრძელდება „კაპიტალის მოვლენა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“).

დამატებით, თუკი დადგა „ნების დართვის მოვლენა“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) „ემიტენტმა“ შეიძლება გადაწყვიტოს ობლიგაციების სრული, მაგრამ არა ნაწილობრივი, გამოსყიდვა „გამოსყიდვის ფასად“.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პირობა 7 (*გამოსყიდვის უფლება*).

„გამოწვევის მოვლენა“ „გამოწვევის მოვლენა“ ჩაითვლება მომხდარად, თუკი ნებისმიერ დროს „ემიტენტი“, „კომპეტენტური რეგულატორი“ ან „კომპეტენტური რეგულატორის“ მიერ დანიშნული აგენტი ჩათვლის, რომ „ემიტენტის“ CET1 კოეფიციენტი (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) დათვლილი ცალკე-მდგომი პოზიციიდან არის 5.125%-ზე ნაკლები.

„ქმედუნარიანობის მოვლენა“ ... „ქმედუნარიანობის მოვლენა“ არის გარემოება ან/და მოვლენა როდესაც (ა) შესაბამისი საბანკო რეგულაციის მიხედვით; ან/და (ბ) „კომპეტენტური რეგულატორის“ დადგენით:

(i) აუცილებელი არის ობლიგაციების „ჩამოწერა“ და სხვა „ჩამოწერადი ინსტრუმენტების“ „ჩამოწერა“, რის გარეშეც „ემიტენტი“ აღარ იქნებოდა ქმედუნარიანი (როგორც ეს გადაწყვიტა „კომპეტენტურმა რეგულატორმა“ შესაბამისი საბანკო კანონმდებლობის მიხედვით); ან/და

(ii) აუცილებელი არის საჯარო სექტორის მიერ კაპიტალის შეტანა, ან მსგავსი ქმედება, რის გარეშეც „ემიტენტი“ აღარ იქნებოდა ქმედუნარიანი (როგორც ეს გადაწყვიტა „კომპეტენტურმა რეგულატორმა“ შესაბამისი საბანკო კანონმდებლობის მიხედვით); ან/და

(iii) ნებისმიერი სხვა მოვლენა ან გარემოება მოხდა, რომელიც განმარტებული არის, როგორც „ემიტენტის“ ქმედუნარობა (როგორც ეს გადაწყვიტა „კომპეტენტურმა რეგულატორმა“ შესაბამისი საბანკო კანონმდებლობის მიხედვით);

ჩამოწერის მოვლენა..... „ჩამოწერის მოვლენა“ არის „გამოწვევის მოვლენის“ ან „ქმედუნარიანობის მოვლენის“ დადგომა.

ჩამოწერა იმ შემთხვევაში თუკი „ჩამოწერის მოვლენა“ მოხდა და გრძელდება „ჩამოწერის“ ქმედებების ძალაში შესვლის

თარიღისთვის (რომელიც უნდა იყოს „ჩამოწერის მოვლენის“ დადგომიდან 30 სამუშაო დღეში ან ნაკლებში) („**ჩამოწერის ქმედების ეფექტური თარიღი**“):

(ა) ნებისმიერი ფინანსური ზარალი, რომელზეც პასუხისმგებელი შეიძლება იყოს „ემიტენტი“ ობლიგაციების ფარგლებში სრულად გაუქმდება;

(ბ) ნებისმიერი დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი სრულად გაუქმდება; და

(გ) გამოშვებული ძირი სრულად ჩამოიწერება,

იმ პირობით, რომ, „კომპეტენტური რეგულატორი“, მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და შესაბამისი საბანკო რეგულაციების მიხედვით, გადაწყვეტს რომ ნებისმიერი მსგავსი ფინანსური ზარალი, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი და/ან გამოშვებული ძირი უნდა იქნეს მხოლოდ გაუქმებული ან ჩამოწერილი მხოლოდ ნაწილობრივ (და არა სრულად) იმისთვის, რათა მოხდეს შესაბამისი „ჩამოწერის მოვლენის“ გამოსწორება, და *ასევე იმ პირობით, რომ* (i) გამოშვებული ძირი გამოყენებულ იქნება „ჩამოწერის მოვლენის“ გამოსასწორებლად სხვა „ჩამოსაწერ ინსტრუმენტებთან“ ერთად *pro rata*, და (ii) ფინანსური ზარალები და დარიცხული პროცენტი გაუქმდება „ემიტენტის“ მიერ მხოლოდ სხვა „ჩამოსაწერ ინსტრუმენტებთან“ ერთად *pro rata*, და *ასევე იმ პირობით, რომ* სხვა „ჩამოსაწერი ინსტრუმენტების“ ჩამოწერა ან გაუქმება არ შეზღუდავს ობლიგაციების ჩამოწერას ან ფინანსური ზარალების და ობლიგაციების ფარგლებში დარიცხული პროცენტის ჩამოწერას.

ნებისმიერი ფინანსური ზარალი და/ან დარიცხული პროცენტი რომლის გაუქმებაც მოხდა „ემიტენტის“ მიერ პირობა 6-ის (ჩამოწერა) მიხედვით აღარ დაგროვდება და აღარ იქნება გადასახდელი იმის მიუხედავად „ჩამოწერის მოვლენა“ კვლავ გრძელდება თუ არა.

პროცენტის დარიცხვა და გადახდა არ მოხდება მანამ სანამ „ჩამოწერის მოვლენა“ მოხდა და ძალაშია.

„ჩამოწერის მოვლენა“ შეიძლება მოხდეს რამდენჯერმე (და ფინანსური ზარალის და დარიცხული პროცენტის გაუქმება და ობლიგაციების ჩამოწერა შეიძლება მოხდეს ასევე რამდენჯერმე).

ჩანაცვლება/შეცვლა

თუკი „კაპიტალის მოვლენა“ ან „საგადასახადო მოვლენა“ დადგა ან გრძელდება, „ემიტენტს“ შეუძლია (საკუთარი პირადი დისკრეციით, მაგრამ პირობა 7(1)-ის თანახმად) ობლიგაციონერებისთვის არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაფრთხილების შემდეგ, მაგრამ ობლიგაციონერთა დასტურის საჭიროების გარეშე, და „კომპეტენტური რეგულატორის“ წინასწარი თანხმობის შემდეგ (და სხვაგვარი შესაბამისი საბანკო რეგულაციის მიხედვით) მოახდინოს ან ობლიგაციების მთლიანი (და არა ნაწილობრივი) ჩანაცვლება, ან მოახდინოს ობლიგაციების პირობების შეცვლა (მათ შორის

მმართველი კანონმდებლობის შეცვლა) იმ პირობით რომ ობლიგაციები დარჩებიან „დამატებით პირველად კაპიტალად ჩათვლილ ინსტრუმენტებად“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“).

გაქვითვის უფლების დათმობა. არცერთ ობლიგაციონერს აქვს უფლება რაიმე სახით ან რომელიმე დროს მოახდინოს ამ ობლიგაციებიდან წარმოშობილი რომელიმე უფლების ან მოთხოვნის გაქვითვა, გაუქმება, ურთიერთ-ჩათვლა ან განულება ნებისმიერი სახით არსებულ რაიმე უფლებასთან ან მოთხოვნასთან, რომელიც „ემიტენტს“ აქვს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ობლიგაციონერის მიმართ. ჩაითვლება, რომ ყველა ობლიგაციონერმა მოახდინა გაქვითვის, გაუქმების, ურთიერთ-ჩათვლის ან განულების უფლების დათმობა, კანონით არსებული მაქსიმალური დონით, ნებისმიერი მსგავსი უფლების, მოთხოვნის ან ვალდებულების მიმართ.

შემენა არც „ემიტენტს“ და არც მის რომელიმე შვილობილს არ აქვთ უფლება იყიდონ ან სხვაგვარად შეიძინონ გამოშვებული ობლიგაციები ნებისმიერ ფასად ღია ბაზარზე ან სხვაგვარად თუკი მსგავსი შესყიდვა ან შემენა არ არის ძალაში მყოფი ნებადართული შესაბამისი საბანკო რეგულაციებით. „მშობელი კომპანია“ (როგორც ეს განმარტებულია „ობლიგაციის პირობებში“) უფლებამოსილია იყიდოს ან სხვაგვარად შეიძინოს ნებისმიერი გამოშვებული ობლიგაცია მხოლოდ „კომპეტენტური რეგულატორის“ წინასწარი თანხმობის შემთხვევაში. არცერთი შემენა არ უნდა დაფინანსდეს პირდაპირ ან ირიბად „ემიტენტის“ მიერ.

ხმის უფლება „ობლიგაციის პირობები“ შეიცავენ ობლიგაციონერთა მიერ მათი ინტერესების განსახილველად კრებების მოწვევის პირობებს. ეს პირობები აძლევს უფლებას განსაზღვრულ უმრავლესობას დაავალდებულონ ყველა ობლიგაციონერი, მათ შორის ისინიც ვინც არ დაესწრო ობლიგაციონერთა კრებას ან არ მისცა ხმა უმრავლესობის მსგავსად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პირობა 15 (ობლიგაციონერთა კრება, ცვლილება, უფლების დათმობა და შეცვლა).

წყაროსთან დაკავების გადასახადი ან გაზრდილი ხარჯები; დარიცხული პირობა 11-ის (დაბეგვრა) შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადასახადის დაკავება კანონით არის მოთხოვნილი, ემიტენტის მიერ ან მისი სახელით პროცენტისა და სხვა სახის ყველა გადახდა უნდა მოხდეს ნებისმიერი გადასახადის, მოსაკრებლის, გადასახდელის ან სამთავრობო ბეგარის გამოკლების, გამოქვითვის ან დაკავების გარეშე, იმისდა მიუხედავად თუ როგორ მოხდა მათი დაწესება, შეფასება, შეკრება ან დაკავება.

იმ შემთხვევებში როდესაც ასეთი გადასახადის დაკავება საქართველოს კანონით არის მოთხოვნილი, „ემიტენტი“ (იმ პირობით, რომ მსგავსი გადახდების განხორციელება შეიძლება მოხდეს იგივე პირობებით, რითაც ხდება ნებისმიერი პროცენტის გადახდა პირობა 5-ის (პროცენტი) ფარგლებში)

გადაიხდის ისეთ დამატებულ თანხას რომლის შედეგადაც ობლიგაციონერები მიიღებენ იმ თანხას, რომელსაც ისინი მიიღებდნენ ამგვარი გადასახადის დაკავება კანონით მოთხოვნილი რომ არ ყოფილიყო.

ფორმა..... ობლიგაციების გამოშვება მოხდება დემატერიალიზებული რეგისტრირებული ფორმით, კუპონების დამატების გარეშე, US\$ 200,000 მოცულობით და ამ თანხაზე მატებული US\$ 1,000-იანი ჯერადობით. ობლიგაციები წარმოდგენილ იქნება რეგისტრირებული ფორმით კუპონების დამატების გარეშე რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების და წესი 144A გლობალური სერთიფიკატების ფორმით. რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების დეპონირება და გაფორმდება Euroclear-ის და Clearstream, Luxembourg-ის ჩვეულებრივი დეპოზიტარის ნომინალური მფლობელის სახელზე. წესი 144A გლობალური სერთიფიკატების დეპონირება და ნომინალური რეგისტრაცია მოხდება Cede & Co-ს სახელზე, რომელიც წარმოადგენს DTC-ს ნომინანტს. რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების და წესი 144A გლობალური სერთიფიკატების მფლობელობის ან მისი გადაცემის დადასტურება მოხდება მხოლოდ DTC-ს, Euroclear-ის და Clearstream, Luxembourg-ის მიერ შენახული ჩანაწერების შესაბამისად. გლობალური სერთიფიკატების გადაცვლა საბოლოო სერთიფიკატებში მოხდება მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში, რომლებიც აღწერილია „ობლიგაციების გლობალური ფორმის პირობების მიმოხილვაში“.

საკრედიტო რეიტინგები..... ემიტენტს აქვს Moody's-ისგან მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი "Ba2" და "Ba3" ადგილობრივი და უცხოური ვალუტებისთვის. თიბისის მოკლევადიანი დეპოზიტების და კონტრაჰენტის რისკის რეიტინგი არის „Not-Prime“. Moody's-ის პროგნოზი ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგისთვის არის სტაბილური. ემიტენტს Fitch-ისგან მიღებული აქვს გრძელვადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი "BB-", მოკლევადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი "B", სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი "BB-" და მხარდაჭერის რეიტინგი "4". Fitch-ის პროგნოზი ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგისთვის არის სტაბილური.

მოსალოდნელია, რომ ობლიგაციებს ექნებათ "B-" რეიტინგი Fitch-ისგან.

Fitch და Moody's საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები დაარსდნენ და მოქმედებენ ევროპულ თანამეგობრობაში 2010 წლის 7 ივნისამდე და რეგისტრირებულნი არიან CRA რეგულაციის ფარგლებში.

ლისტინგი ლისტინგის განაცხადი შეტანილ იქნა Euronext Dublin-ში ობლიგაციების ოფიციალურ სიაში შეტანაზე და Euronext Dublin-ის რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებაზე. დამატებით, მეორადი ლისტინგის განაცხადება შეიძლება შეტანილ იქნას საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

კანონმდებლობა ობლიგაციები და ნებისმიერი არასაკონტრაქტო ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს მათგან ან მათთან დაკავშირებით დარეგულირდება და ინტერპრეტირებულ იქნება ინგლისის სამართლის მიხედვით, გარდა პირობა 3-ის (*სტატუსი*) და პირობა 4-ის (*ობლიგაციების სუბორდინაცია*) ფარგლებში წარმოშობილი საკითხებისა, რომლებიც დარეგულირდება და ინტერპრეტირებულ იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

გაყიდვაზე შეზღუდვა..... ობლიგაციებს არ გაუვლიათ და არ გაივლიან რეგისტრაციას აშშ-ში აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის მიხედვით ან აშშ-ს რომელიმე შტატის ან იურისდიქციის ფასიანი ქაღალდების რეგულატორის მიერ. ობლიგაციების შეთავაზება ან გაყიდვა არ მოხდება შეერთებულ შტატებში გარდა კვალიფიციური ინსტიტუციონალური მყიდველისა აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის წესი 144A-ს შესაბამისად ან სხვა გამონაკლისის ფარგლებში, რომელიც არ ექვემდებარება აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის რეგისტრაციის მოთხოვნებს.

ამ ობლიგაციების შეთავაზება და გაყიდვა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს გაერთიანებულ სამეფოში, საქართველოში, შვეიცარიაში, რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (გარდა დუბაის საერთაშორისო ფინანსური ცენტრისა), დუბაის საერთაშორისო ფინანსურ ცენტრში, სინგაპურში, ჰონგ-კონგში, თურქეთში და სხვა იურისდიქციებში. იხილეთ „*გამოწერა და გაყიდვა*“

ფასიანი ქაღალდის
საიდენტიფიკაციო ნომერი

რეგულაცია S-ის ობლიგაციები:
ISIN: XS1843433126
საერთო კოდი: 184343312

წესი 144A-ის ობლიგაციები:
ISIN: US48128XAB91
საერთო კოდი: 111730571
CUSIP: 48128XAB9